

ცოტნე გამსახურდია : "მონმეტა ჩვენებები და ოქმები ცხადყოფს, რომ ზვიად გამსახურდიას თავი არ მოუკრავს"



მთელი რიგი მიზეზების გამო და ამ მიზეზთა ერთობლიობით, ფაქტია, დღეს, მთავარი პროკურატურა უნარიანი არ არის და ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმის გამოძიება მას უბრალოდ, არ შეუძლია, – განაცხადა ზვიად გამსახურდიას შვიდმა,

ცოტნე გამსახურდიამ "პირველი არხის" გადაცემაში „აქტუალური თემა მავა ცინცაძესთან ერთად“ სტუმრობისას.

მისი თქმით, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეზე ხანდაზმულობის ვადის გახანგრძლივება მისასაღმებელია, მაგრამ თუ ეს იქნება უბრალოდ, გახანგრძლივება გახანგრძლივებისთვის, სჯობს, ეს საქმე დახურონ.

„თუ ასე იქნება, სჯობს, ეს საქმე დახურონ, ვიდრე კიდევ ხუთი წელი ვინვადოთ და ამ საქმიდან მონმეებიც გაქრნენ, საზღვარგარეთ გაიქცნენ ან დაიხოცონ. ჩვენი მთავარი მოთხოვნა გახდავთ ამ საქმეზე პოლიტიკური ნების გამომჟღავნება, რასაც დღეს ვერ ვხედავთ. დღეს, პოლიტიკური ნება პირიქით არის, რომ ეს საქმე მიიჩქმაროს, გაფუჭდეს და მოკვდეს“, – განაცხადა ცოტნე გამსახურდიამ.

მისი თქმით, ცხედრის ვიზუალური დათვალიერების ოქმები და მონმეტა

ჩვენებები ცხადყოფს, რომ ზვიად გამსახურდიას თავი არ მოუკრავს.

„მიუხედავად ამ ყველაფრისა და მიუხედავად იმისა, რომ გამოძიებას წრებია, ვთხოვთ და ვთავაზობთ, საგამოძიებო ექსპერიმენტი ჩაატარონ, ის დღემდე არ ჩატარებულა. ჩატარდა მხოლოდ ტანსაცმლის და გენეტიკური ექსპერტიზა. მე ამიღეს სისხრი და დაადასტურეს, რომ ეს მართლა ზვიად გამსახურდია იყო“, – განაცხადა ცოტნე გამსახურდიამ.

როგორც ცოტნე გამსახურდიამ აღნიშნა, ამ საქმეში მთავარი უბედურება ის არის, რომ სამართლებრივი სისტემა გამართული არაა და საქმის გამოძიება ვიღაცის ნებაზეა დამოკიდებული. ზვიად გამსახურდიას შვირმა ასევე განაცხადა, რომ დღეს, არ ეგუდება სინდისიერი და ჭკუათმყოფელი ადამიანი, ვისაც ოღნავი სიმპათია მაინც ექნება სიგუას, კიტოვანის და სხვების მიმართ, ვინც 1992 წელს მშვიდობიან მიტინგებზე ადამიანებს არბევდა თუ ხვრეტდა და ამიტომ, მათი პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი დიდი ხანია, დამდგარია, მაგრამ მათი სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად უნდა დადგეს.

მისივე თქმით, ჩვენი ქვეყანა და მისი უახდესი ისტორიის გადმოცემა, ისევე, როგორც ის სისტემა, რომელსაც ახლა ებრძვის, სიცრუეზე, სიყარბეზე, სიბინძურეზე დგას და ამიტომ არის, რომ 30 წელია ფაქტობრივად, ერთი და იგივე წრეზე დავდივართ.

ცოტნე გამსახურდიამ გადაცემაში სტუმრობისას დევნილობაში გატარებული წლებიც გაიხსენა.

<https://www.youtube.com/watch?v=zSgWqJQqoVQ>